პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელი ჯარისკაცი

ფასი 3 კაპ.

შაბათი, 1 მაისი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ევანგულოვის ქ. ელსმენი 2—24.

—

განცხადების ფასი პირველ გვერდ. 80 კ. სტრ. 4 გვ. 40 კ.

95 (1090) | 1 და 2 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | 95 (1090)

# გაუმარჯოს შრომისა და ბრძოლის დღესასწაულს-პირველ მაისს!

## გაუმარჯოს საერთაშორისო მშრომელთა ბრძოლას მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ!

## გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციასა და მის მესაჭეებს!

## პირველი მაისი

დღეს პირველი მაისია. მუშათა საერთაშორისო დღესასწაული.

პირველი მაისის დღესასწაული ეს არის ნიშანი მუშათა კლასის გამოღვიძების და საკუთარი კლასიური ინტერესების შეგნების.

პირველათ ეს დღესასწაული გადახდილი იქმნა პარიზში, 1890 წელს პირველ მაისს. ძირითადი ლოზუნგი პირველ მაისის დღესასწაულის იყო: რვა საათის სამუშაო დღე, მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ბრძოლა სოციალიზმის განხორციელებისათვის.

ასეთი ლოზუნგებით გამოვიდა მაშინ მუშათა კლასი. ხოლო ეს დღესასწაული დაწესებული საერთაშორისო სოციალისტური ყრილობის მიერ პარიზში 1889 წელს 14—21 ივლისში, ტარდებოდა მე-2 ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით ყოველ წლიურათ 1914 წლამდი.

მაგრამ აი იფეთქა 1914 წ. იმპერიალისტურმა ომმა და მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა „სამშობლოს დაცვის“ სახელით, მოუწოდეს მუშათა კლასს, რომ პირველი მაისის დღესასწაული არ გაეტარებიათ და მის მაგივრად ემუშავათ ქარხნებში.

ეს გარემოება უკვე საკმაო საბუთს იძლეოდა იმის დასამტკიცებლათ, რომ მეორე ინტერნაციონალის ბელადები, ბურჟუაზიის მიერ შესყიდულები, თანდათანობით ივიწყებდენ პირველ მაისის ლოზუნგებს, რომელიც არის მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და მუშათა კლასს მიერეკებოდა სანგრებში ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავათ.

მაგრამ აი მოახწია 1917 წელმა და პირველი მაისის ლოზუნგი: „ომი—ომს“ კვლავ გამოცოცხლდა და კვლავ ცხოვრებაში გატარდა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა, რომ იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომათ გადაქცეულიყო და რუსეთის ბურჟუაზიის იმპერიალისტური ზრახვები ისტორიას სამუდამოთ ჩაბარებული იყო.

რუსეთის პროლეტარიატმა გაიმარჯვა. მან ღირსეულათ შეასრულა პირველ მაისის დანიშნულება.

და დღევანდელ დღეს იგი დღესასწაულობს თავის გამარჯვებას და გამოდის ყველას წინაშე თავისი რკინისებური რიგებით.

ხოლო მეორე ინტერნაციონალის ბელადები, რომლებიც არ არიან დამცველნი მუშათა კლასის ინტერესების, დღევანდელ დღეს ერთხელ კიდევ მოატყუილებს მუშათა კლასის ჯერ კიდევ გამოუღვიძებელ ნაწილს და ამ დღეს კვლავ შეეცდება, რომ პირველ მაისის დღესასწაულმა არ მიიღოს რევოლიუციონური ხასიათი და ელფერი.

მაგრამ ვფიქრობთ, რომ დიდხანს ვერ გაიტანს იგი თავს ასეთი ოინებით და გამოღვიძებული ევროპის პროლეტარიატი სასტიკ პასუხს მოსთხოვს მეორე ინტერნაციონალის ბელადებს.

დღეს პირველი მაისია. მუშათა კლასმა ჩვენში გამარჯვება მოიპოვა. ამ გამარჯვებას იგი დღეს სათანადოთ დღესასწაულობს. მაგრამ ამასთანავე იგი მოუწოდებს საერთაშორისო პროლეტარიატს გამოღვიძებისაკენ, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ და ნატრობს იმ დღეს, როდესაც მთელი ქვეყნის პროლეტარიატი შეასრულებს რა პირველ მაისის ლოზუნგებს და დანიშნულებას თამამად, ერთხმად შესძახებს: გაუმარჯოს პირველ მაისს, სიმბოლოს მუშათა კლასის გამარჯვების და განთავისუფლების!

## მშრომელთა დღესასწაული.

დღეს მშრომელთა სახელმწიფოში, როგორიცაა ჩვენი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, მეცხრედ ვხვდებით 1 მაისის დღესასწაულის გადახდას იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს ბატონპატრონი მშრომელი ხალხია.

ამიტომაა, რომ მხოლოდ ჩვენს მშრომელთა სახელმწიფოში აქვს ამ დღესასწაულს სახელმწიფოებრივი ხასიათი, სადაც გაბატონებული მუშათა კლასი ზეიმობს თავის გამარჯვებას მტარვალ თვითმპყრობელობასა და მყვლეფელ ბურჟუაზიაზე.

ამიტომაა, რომ პირველი მაისი, ოქტომბრის დღესასწაულის შემდეგ, უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დღესასწაულია ჩვენთვის.

სულ სხვაა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. კაპიტალისტებს ყოველთვის შიშს გვრის პირველი მაისის მოახლოვება, ვინაიდან ამ დღეს მათ ქვეყნებში მუშათა კლასი გამოდის ბრძოლის ლოზუნგებით, მოითხოვს თავისი პირობების გაუმჯობესებას, პოლიტიკური უფლებების გაღრმავებას. ამ რიგად იქ პირველი მაისის დემონსტრაციას აქვს ის მნიშვნელობა, რომ მუშათა კლასი იწვრთნება გამოსვლებში, ღრმავდება მათი კლასიური გრძნობა, ირაზმება და იწაფება იმ გადამწყვეტ ბრძოლისათვის, რომელმაც მსოფლიო მუშათა კლასი უნდა მიიყვანოს საბოლოო გამარჯვებამდე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, მუშათა კლასი ასეთ დღესასწაულებში უფრო მეტ გამბედაობას იჩენს მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ერთ მეექვსედზე ჩვენი კავშირის სახით გაბატონდა და გამტკიცდა მშრომელთა სახელმწიფო. მათთვის ჩვენი ქვეყანა ის ცხოველმყოფელი ძალაა, რომელიც სურვილს უღვიძებს და იმედებს უღრმავებს თავის ქვეყნის ბურჟუაზიაზე გამარჯვებისათვის. სწორედ ამით აიხსნება ის უაღრესი სიძულვილი მსოფლიო ბურჟუაზიისა და მათ დამქაშ მენშევიკ-სოციალისტებისა ჩვენს სახელმწიფოსადმი, რომ ყოველი დღე ჩვენი განმტკიცებისა, სიცოცხლეს უმოკლებს და ძირს უთხრის მათ ბატონობას.

შემთხვევითი არაა ის მოვლენა, რომ პირველ მაისს, გამარჯვებულ პროლეტარიატის დღესასწაულის დღეს, ჩვენი წითელი ჯარი იღებს წითელ ფიცს. პირველ მაისს მიცემული ფიცით ჩვენი წითელი ჯარი მოაგონებს მთელ მსოფლიოს მუშათა კლასს, რომ ის ყოველთვის ფხიზლათ სდგას მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს სადარაჯოზე, რომ ის მოწოდებულია ფხიზლათადევნოს თვალყური მუშათა კლასის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში და ყოველთვის მზად იყოს საჭირო შემთხვევებისათვის, ვინაიდან წითელი ჯარი, მასზე დაკისრებულ დიდებულ მისიას შესრულებულად იგულისხმებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მსოფლიო კოშკზე ამაყად აფრიალდება წითელი დროშა, — სიმბოლო მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისა.

გ. მ.

# ახალი რადიო ამბები

## ჩინეთის ამბები.

### გლეხთა მოძრაობა ჩინეთში

#### წითელი მსროლელები

ჩინეთის გაზ. „ჩენ—ბაო“ იტყობინება, რომ პროვინციი შანდუნის სამხრეთით იზრდება გლეხთა სერიოზული აჯანყება. აჯანყებულები უწოდებენ თავს წითელ მსროლელებს. მათ აქვთ საკმაო საშუალებანი ბრძოლისთვის და უზრუნველყოფილი არიან სურსათ-სანოვაგით, რის გამოც მათი მოძრაობის ჩახშობა ძნელი იქნება.

### უთანხმოება ჩან-ძო-ლინსა და უ-პეი-ფუს შორის

#### პეკინის მთავრობის შედგენა მიენდო იენს.

უ-პეი ფუმ წინადადება მისცა ექიმ იენს (1922-24 წლებში პრემიერ მინისტრი იყო) შეადგინოს დროებითი მთავრობა. იენი დასთანხმდა.

უ-პეი-ფუს ასეთი დამოუკიდებელი ნაბიჯი მოწმობს იმას, რომ ჩან-ძო-ლინსა და უ-პეი-ფუს შორის უთანხმოებაა.

### ბრძოლა ნანკოუში

სახალხო არმიის მოთავსების რაიონში (ნანკოუში) ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

ნანკოუს მიდამოებში თავმოყრილია ჩან-ძო-ლინის დიდი ძალები. უ—პეი—ფუს ჯარები ჯერ არ მონაწილეობენ ბრძოლაში.

### ეძებენ ბოლშევიკურ ლიტერატურას

პეკინის პოლიცია აწარმოებს ჩხრეკას უმაღლეს სასწავლებლებში ბოლშევიკურ ლიტერატურისა და საბუთების აღმოჩენის მიზნით.

ქალაქიდან გაიქცა ბევრი პროფესორი და მასწავლებელი.

ჩინეთის სტუდენტთა კავშირმა მიმართა ჩინეთის სტუდენტობას გაერთიანდენ ბრძოლაში მილიტარისტებისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ.

### ჩან-ძო-ლინმა და უ-პეი-ფუმ აკრძალეს 1 მაისის ჩატარება

ჩინეთში აკრძალულია 1-ლი მაისის დღესასწაულის ჩატარება იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ამჟამად ემორჩილება უ—პეი—ფუსა და ჩან—ძო—ლინს.

## „წითელი არმია და პირველი მაისი“

### (ვოროშილოვის წერილიდან)

1-ლი მაისის დღეს ყველა ქვეყნის მშრომელები კეთილი სიტყვით გაიხსენებენ ჩვენს წითელ არმიას, როგორც შრომისა და მშვიდობიანობის ერთად ერთ დამცველს მთელს ქვეყნიერებაზე. და კიდევ მეტი სიძულვილითა და ულონო ბოროტებით აივსება პროლეტარიატის მტრის—ბურჟუაზიის გული, როცა ის მოიგონებს, რომ მისთვის ამ მძიმე დღეს, რომელიც წინასწარმეტყველობს მსოფლიო ბურჟუაზიის გარდაცვალების საათის მოახლოებას, წითელი არმია, საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებთან ერთად შეუდრეკ კლდესავით სდგას პროლეტარულ ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე მსოფლიო პროლეტარიატის ჩამორჩენილ რიგების მოლოდინში“.

## ბრძოლა მაროკოში

გენერალ დე—რივერას ცნობით საფრანგეთისა და ესპანეთის ჯარები მაროკოში უკვე გადავიდენ შეტევაზე მთელ ფრონტზე.

## პროფინტერნი თანდათან იკრებს მომხრეებს

გონკონგში მოხდა მუშათა კავშირების კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 500 დელეგატი. საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შესახებ მოხსენების გარშემო კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ესალმებიან პროფკავშირთა გაერთიანების ინგლის-საბჭოთა კომიტეტის წარმოებას. კონფერენცია მოუწოდებს კავშირებს პროფინტერნის მიმხრობისაკენ ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალის წინააღმდეგ.

## გერმანიის შემთანხმებლების პოზიცია

გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებამ და სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროვინციალურ ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა უარყო კომპარტიის წინადადება პირველი მაისის დემონსტრაციის შეერთებულად მოწყობის შესახებ.

## საბჭოთა კავშირში

### ფეიქართა მილოცვები

ფეიქართა კავშირმა პირველ მაისის დღესასწაულისთვის გაუგზავნა მილოცვის დეპეშები ამერიკის, ჩინეთისა და ინდოეთის ფეიქრებს.

# საქართველოში.

## გასცილდა ომამდე არსებულს

ოზურგეთის აღმასკომის ცნობებით მიმდინარე წელში თამბაქოს პლანტაციების მოედანი გაზორდა ომამდე არსებულს 30—40 პროცენტით. გაუმჯობესდა თამბაქოს ხარისხიც. 1923 წელში მოვიდა 2.600 ფუთი ფურცელი თამბაქო, 1924 წ. 6.000 ფუთი, 1925 წელში—18.086 ფუთი.

## ხიდების აგება ოზურგ. მაზრაში

გასული წლის განმავლობაში გურიაში აგებულ იქნა შემდეგი ხიდები: 4 დუღაბის ხიდი ბახვსა და ნატანებზე; 12 პატარა ხიდი ნატანების გზატკეცილზე; შეკეთებულია 26 ხიდი. ოზურგეთში აგებულია 5 ახალი ხიდი; რკინა—ბეტონის—2.

## ხანძარი

ოზურგეთის მაზრაში, სოფ. ლიხაურის ახლო-მახლო გაჩნდა ტყეში ცეცხლი. ცეცხლი სწრაფად გაძლიერდა. ცეცხლის ჩასაქრობად მუშაობს ახლო მდებარე სოფლების მოსახლეობა. ოზურგეთიდან დასახმარებლად გაგზავნილია ცეცხლის მქრობელი რაზმი. ცეცხლმა გაანადგურა 50 დესეტინა მიწა. ცეცხლი საშიშ ხასიათს ღებულობს სოფელ ლიხაურისთვის.

ცეცხლის ჩაქრობის ცდები ჯერ-ჯერობით უშედეგოა.

## შავი ქვის გატანა

ოცდაათ აპრილს ფოთის ნავთსადგურიდან ინგლისში გაემართა გემი „ფიდალიდასი", რომელმაც წაიღო 6.553 ტონა შავი ქვა. (ტონა—61 ფუთი).

## ძირა სასოფლო კოოპერაციის გაერთიანება

ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ბანკი და წარმოკავშირი შეუდგა საკრედიტო ამხანაგობათა და სასოფლო კოოპერაციის ძირა ქსელის გაერთიანებას.

გაერთიანებულ ამხანაგობებს დაერქმევა სასოფლო სამეურნეო კოოპერატიული სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა.

## აფთიაქისა და საექიმო წერტის გახსნა

სოფელ ნაფარეულში იხსნება აფთიაქი, სოფელ მაცანცარაში—საექიმო წერტი.

## დღე ბრძოლის. დღე შრომის

რა არის პირველი მაისი?

რისთვის დღესასწაულობს მშრომელი პირველ მაისს?

რით არის, რომ დღეს ვერა ნახავთ ვერც ერთ ქვეყანას სადაც არ გაისმოდეს

ძლიერი ჰიმნი შრომის

და

ხმა მოწოდების საბრძოლველად:

„მშრომელნო ყველა ქვეყნის, შეიარაღდით!"

პირველი მაისი არის

დღე ბრძოლის,

დღე შრომის.

დღეს ჩვენ ვიხილავთ მთელ სამყაროს მშრომელთ,

დარაზმულთ ძლიერ რაზმებათ,

გამოსულთ ქუჩაში ერთსულოვნად,

ერთი აზრით,

ერთი მისწრაფებით,

ერთი ლოზუნგით:

„ძირს მყვლეფელნი, სიკვდილი მშრომელთ მტერს, გაუმარჯოს თავისუფალ შრომას".

ყველგან, ყველგან, გარდა საბჭოთა უძლევ კავშირის, მუშა გმინავს მძიმე უღელის ქვეშ, მუშა იბრძვის, რომ მოიპოვოს ადამიანური უფლება.

ყველგან, ყველგან, გარდა ჩვენი თავისუფალი ქვეყნისა, გათელილია მშრომელის უფლება, პიროვნება.

და დღეს მშრომელნი გამოვლენ ქუჩაში და ეტყვიან მჩაგვრელთ:

„აი იხილეთ ჩვენი რაზმები, იხილეთ ძალა ჩვენი. დადგება დრო და ძალა-უფლება ჩვენი იქნება. მოვსპობთ ქვეყანას ძველს და ჩაუყრით საძირკველს ახალ ცხოვრებას".

გაღვივდება მშრომელთ ძალები,

შეკავშირდებიან მშრომელთ რიგები,

მომავალ დიადი ბრძოლებისათვის მთელი სამყაროს დასაპყრობად, აღაფრიალებლად ქვეყნიერებაზე

წითელი შვეიის დროშის, დროშის თავისუფალი შრომის.

ირაზმება მუშათა კლასი, ირაზმება ბურჟუაზიაც.

მაგრამ ამაოა მისი კბილთ ღრჭენა, ამაოა მისი ცდა,

დათვლილია მისი დღენი, მოახლოებულია ჟამი მისი აღსასრულისა.

დღევანდელი დღე,

დღევანდელი პირველი მაისი ერთხელ კიდევ ჩასცემს სასიკვდილო ლახვარს მათ, ვინც არის მტერი შრომის, ვისაც უნდა თავისი კეთილდღეობა ააგოს

მშრომელთა სისხლით,

მშრომელთა ოფლით.

ე. ხუციშვილი.

## აბრეშუმის ჭიის თესლის დარიგება

25 აპრილს საზოგადოება „აბრეშუმი" შეუდგა თელავის მაზრაში მოსახლეობაზე აბრეშუმის ჭიის თესლის დარიგებას მომხმარებელ საზოგადოების საშუალებით.

გარდა 3. 250 კოლოფისა, რომელიც მიღებული აქვს საზოგადოებას, საჭირო იქნება კიდევ დამატებით 1.500 კოლოფამდი.

## დღევანდელ დღეს

მუშა ირაზმის წითელ დროშებით
ქუჩას ეტყობა სახე ახალი,
სჩანს მანაც იგრძნო პირველ მაისის
ბუმბერაზობა და მისი ძალი.
პირველ მაისი მუშების დღეა,
ეს დღეა ბრძოლის ბარიკადებზე,
მის მოწამეა თვითონ ჩიკაგო
და მშრომელთ ძვლები ბრძოლის ველებზე.

— —

დღევანდელი დღე მუშების დღეა,
ამ დღეს ირაზმის პროლეტარია,
ეს დღეა ყველა ჩაგრულებისთვის,
გზების გამრკვევი და ლამპარია.
მან შეასწავლა მშრომელთა მასას
მტარვალებზედა ბრძოლა მედგარი
თვისი უფლების მოთხოვნა მკვეთრათ
მისგან მიიღო ბრძოლის უნარი.

— —

ეს დღე დაწესდა მუშის ზეიმად,
ეს არის ჩვენი დღესასწაული,
მშრომელთ რიგები ამ დღეს ხარობენ,
ბურჟუაზიას უსქდება გული.
დღევანდელი დღე მუშების დღეა,
ეს დღეა ტურფა და სანეტარო,
ეს ბრძოლის დღეა, მედგარი ბრძოლის,
მაშ, გაგიმარჯოს შენ, პროლეტარო!

წ. მ. ნიჟარაძე

## პირველი მაისი

მეგობრებო, ყური უგდეთ!
სიტყვას ამბობს ორატორი:
—ჩვენ ერთი ვართ, ყველა ერთი
და უფლებით თანასწორი.

— —

სისხლი ვღვარეთ, ძვლები ვთესეთ,
ციმბირი სულ მოვიარეთ,
და დღეს მედგრათ ხელთ გვიპყრია
დროშა წითლად მოელვარე.

— —

აქ ყველა სჩანს საზეიმოთ:
ქალი, კაცი, მუშა, გლეხი,
და მრთელდება ჩვენი ბედი
ხანგრძლივ ბრძოლით განატეხი.

— —

ხედავთ, მუშას რკინის მკერდით
ხელთ რომ შვენის დროშა წინსვლის,
და რაზმები წითელ ძმების
საზეიმოთ ერთმანეთს სცვლის

— —

ხმა მოისმის ნაზი, წყნარი:
სიტყვას ამბობს მგონი ქალი
ვისაც მხოლოდ საგნათ სთვლიდნ,
ვის სდევნიდა სამართალი!

— —

შეერთებულ რკინის ძალი
მტრებს ზეიმი არ ვაცალეთ,
და ევროპაც ჩვენთან ერთად
იზეიმებს დღეს, ან ხვალე.

— —

მალე ვნახავთ წითელ დროშით
პარიჯს, ბერლინს და ტოკიოს
დეე! ძმები შორეულნი
ჩვენს რაზმებში გაერიოს!..

წ. არმ. შ. სიმონაიშვილი.

## ჩვენი სოფლის საჭირბოროტო საკითხები

ჩვენი სამეურნეო ზრდასთან ერთად იზრდება არა მარტო სამეურნეო მოთხოვნილება ჩვენი გლეხობისა, არამედ იზრდება მისი პოლიტიკური აქტიობაც. ის უკვე აღარ კმაყოფილდება უბრალო საქმიანობით, საკმაოდ პოლიტიკურად გათვითცნობიერებული ის სცდილობს სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა მიიღოს. სწორედ ეს აღნიშნა თავის რეზოლიუციაში პარტიის მე-XIV ყრილობამ, რომელმაც ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებას: „მასების აქტიობის გაზრდა ყველა კლასობრივ ჯგუფებისა და ფენების ზრდასთან ერთად სამეურნეო განვითარების ფონზე, თვითონ შეიქმნა ფრიად მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორად. პროლეტარიატმა და მისმა პარტიამ როგორც ძირითად ხელმძღვანელ საზოგადოებრივმა ძალამ, უნდა გამოიყენოს ეს ზრდა მასების კიდევ უფრო მეტად ჩასათრევათ სოციალისტურ მშენებლობის პროცესში, ამ მშენებლობის ყველა ფრონტებზე და სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. . . . სოფელში ღარიბებს და საშუალო გლეხობის აქტიობის ზრდამ გამოსახულება ჰპოვა საბჭოებისა და კოოპერაციის გამოცოცხლებაში". შემდეგ ყრილობის დადგენილება აღნიშნავს იმ დებულებას, რომ არ შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურის გამაგრება სამხედრო კომუნიზმის მეთოდებით, ადმინისტრატიულ დაწოლით. საჭიროა ამორჩევითი პრინციპის ბოლომდე დაცვა იმ ორგანოებში, სადაც ეს ფენები ღარიბებს და საშუალო გლეხებისა უშუალოდ მონაწილეობენ.

ავიღოთ რამოდენიმე ციფრი, რომელიც მოგვცემს დასაბუთებას ზემოდ მოყვანილ დებულებისას.

მაგ. ლენინგრადის საბჭოს შემადგენლობა იცვლებოდა ამ რიგად.

| | 1923 წ. | 1925 წ. |
|---|---|---|
| საბჭოს წევრთა რიცხვი იყო: | | |
| უპარტიონი | 241. | 484 |
| მუშები | 167. | 632 |
| ქალები | 322. | 457 |
| საბჭოში პირველად ამორჩეულთა რიცხვი | 38. | 1.335 |

როგორც ამ რიცხვებიდან სჩანს ერთ მაგალითზე საკმაოდ გაიზარდა პროცენტი ახლად მონაწილე წევრებისა საბჭოში. ავიღოთ რომელიმე სხვა ქალაქი ან კუთხე. მაგ. ლენქორანი. თანახმად უკანასკნელი ცნობებისა აქ ამორჩეულია 135 სოფლის საბჭო 3934 წევრით. აქედან კომუნისტები 179, კანდიდატები 80, კომკავშირის წევრები 334, უპარტიო 3341. აქედან შეძლებული არიან 83, მცირე შეძლების 1940, რომელთაც არ ყავთ მუშა საქონელი 997, ხარჯიდან განთავისუფლებულები 295, მუშები 118, ბატრაკები 165, კუსტარები45, მოსამსახურეები 144, ინტელიგენტები 46. ეს და მრავალი სხვა მაგალითები ჩვენი საბჭოების არჩევნებისა ამტკიცებენ იმ დებულებას, თუ რამდენათ გლეხობა სცდილობს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოების ცხოვრებაში და ამით მთელი კავშირის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩვენი მოწინააღმდეგეთა სიხარული მიდის იმ დონემდე, რომ მათ უკვე ელანდებათ საბჭოები უკომუნისტებოდ. მაგრამ განა ის დებულება, რომ საბჭოებში უპარტიო მასის რაოდენობა გაიზარდა ნიშნავს იმას, რომ კომუნისტების გავლენა შემცირდა სოფლად? რასაკვირველია რომ არა. პირიქით ეს ამტკიცებს იმ დებულებას, რომ მასის აქტიურობასთან ერთად იზრდება კომუნისტურ პარტიის გავლენა. მთელი ეს მასა უკვე საბჭოთა მშენებლობის გზაზე არის დამდგარი და ამდენათ სოციალიზმის შენების გზაზე. მთელი მასის ჩაბმა საბჭოთა სამეურნეო და პოლიტიკურ მშენებლობაში—აი ის დებულება, რომელიც წამოაყენა პირველ რიგში კომუნისტური პარტიის მე-XIV ყრილობამ.

მაგრამ გლეხობა მოთხოვნილებას აყენებს კიდევ სხვა მიმართულებით. ჩვენი სამეურნეო მშენებლობასთან დაკავშირებით, სოფელს სჭირია დიდი რაოდენობა კვალიფიციურ მომზადებულ ძალისა. სოფელს სჭირია დიდი რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო და სხვა ტიპის სკოლებისა. ჯერ კიდევ ლენინი იტყოდა: „მთავარი რაც არის ახლა—ეს სწავლა, და კიდევ სწავლა". გლეხურ მოსახლეობის კულტურული დონე აიწია. ასე მაგ. 1897 წ. (პირველი აღწერა რუსეთში) მცოდნეთა რიცხვი 1000 კაცზე ორივე სქესისა უდრიდა 187, 1920 წ. კი უდრის 287. როგორც ვხედავთ ის ორჯერ გაიზარდა. 1926 წ. ბოლოს ჩვენ არ უნდა გვყავდეს არც ერთი წერა კითხვის უცოდინარი. თუ შევადარებთ სახელმწიფო ბიუჯეტში(ხარჯთ აღრიცხვა) პროცენტულ შეფარდებას განათლების საქმეზე დახარჯულ თანხისას, ჩვენ დავინახავთ, რომ საკმაოდ დიდი პროცენტი ამ ბიუჯეტიდან ეთმობა სახალხო განათლების საქმეს,

ასე მაგ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლების საქმეზე იქნა გადადებული.

| | | |
|---|---|---|
| 1914 წ. | 5,7 | პროც. |
| 1918 წ. | 6,2 | „ |
| 1919 წ. | 8,0 | „ |
| 1920 წ. | 10,4 | . |
| 1921 წ. | 8,9 | „ |
| 1922 წ. | 3,0 | „ |
| 1923 წ. | 3,9 | „ |
| 1924 წ. | 4,7 | „ |

საქმე ის არის, რომ თვითეული საქმიანობა ჩვენი სახელმწიფოისა თავიდან ბოლომდე განსაზღვრულ გეგმას ექვემდებარება. ამდენათ როგორც კი გაიზრდება ჩვენი საშემოსავლო წყაროები, ამდენათვე გაიზრდება პროცენტები იმ თანხისა, რომელიც გაცემულ იქნება ამა თუ იმ საქმეზე. ჩვენი ბიუჯეტი, რომელიც გაიზარდა 4 მილიარდ მანეთამდე საბჭოთა ხელისუფლებას მისცემს საშუალებას სახალხო განათლებაზე დახარჯოს უფრო მეტი, ვიდრე ეს იხარჯებოდა ამდენ ხანს.

როგორია უზრუნველყოფა ჩვენი მასწავლებლობისა, რომელიც თავისებურ კულტურულ დასაყრდენს წარმოადგენს სოფლად საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ეს ის მასწავლებლობაა, რომელმაც 1925 [...] იანვარში თავის ყრილობის დადგენილებებში ხაზ-გასმით აღნიშნა, რომ „ჩვენ ურყევლა[...] და უეჭვოთ გვჯერა იმ პარტიის, რომელსაც მაღლა უჭირავს დროშა მშრომელთა [...] ჩაგრულთა ექსპლოატაციის[...] სიღარიბისა და ძალდატანებ[...] წინააღმდეგ". მასწავლებლ[...] საშუალო ხელფასი უდრიდ[...] ომამდე მანეთებში 30 მა[...] 1923 წ., 15 მან., 1924 [...] 20 მან., 1925—26 წ. მა[...] ხელფასი უდრის 35 მანეთ[...] ყველაფერი ეს ამტკიცებს [...] დებულებას, რომ ჩვენი სამ[...] ეურნეო ზრდასთან ერთად იზრ[...] დება კულტურული დონე ჩვე[...] ნი გლეხური მასისა და [...] ინტელიგენცია, რომელიც მ[...] ურბოდა ოქტომბრის დღეებ[...] ჩვენს რევოლიუციას, ახლ[...] უკვე გარკვეულად საბჭოთ[...] ხელისუფლების ორიენტაცი[...] გზაზე დგას. ლენინი იტყოდ[...] რომ მასწავლებლობა უნდა [...] ვაყენოთ ისეთ მდგომარეობაშ[...] რომელიც არსებითად განსხვ[...] ვებდეს მის მდგომარეობას სხ[...] ხელისუფლების დროს არსებუ[...] მდგომარეობიდან.

ეს არის დიდი დებულებ[...] რომელსაც ჩვენ ვამართლებთ.

—ლია.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## როგორ მუშაობენ შვებული წითელ არმიელები სოფლად.

### შვებული წითელ არმიელის წერილი სოფ. კოპიტნარიდან

ამხ. მეთაურებო, თქვენგან გადმოცემული ცოდნა კარგად გამოვიყენე სოფელში მუშაობის დროს. მისვლისთანავე შევუდექი სოფლად რემედასის და აიოქიმის უჯრედების ჩამოყალიბების საქმეს. სოფლის ახალგაზრდობა ენერგიულად ჩაება მუშაობაში. სათავეში უდგებით ადგილობრივ ყველა წამოწყებებს. ვაარსნობთ გზების შეკეთების საქმეს და მრავალი სხვ. განზრახული გვაქვს სამხედრო კუთხის მოწყობა. ამისთვის აწევით შესაფერ აგიტაციას და უხსნით გლეხებს, თუ რა სარგებლობა მოაქვს მოსახლეობის გასამხედროებას.

ამ ჟამად ვემზადებით 1 ლი მაისის დღესასწაულის შესახვედრად. მონაწილეობას ყველა ღებულობენ ამ სამზადისში.

საერთოდ სოფელი აღარ გავს ძველ სოფელს. მას გამოცოცხლება ეტყობა. შვებულ წითელ არმიელებს ყველგან შეაქვთ სიცოცხლე და ამოქმედებენ მათ. სოფელი დამდგარია განახლების გზაზე და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის წითელ ყაზარმას, რომელიც შეუჩერებლივ უშვებს სოფლებისაკენ მომზადებულ ძალებს.

უსურვებთ წითელ ყაზარმას მრავალი მშრომელები მოემზადებიოს ჩვენი სოფლებისა და მთელი საბჭოთა კავშირის საკეთილდღეოთ.

შვებული წ. არმიელი
ვ. ლოლომაძე.

## დღესასწაულს მცოდნე წითელ არმიელებით ვხვდებით

მე-6 მსრ. ლეგიონი.

1903 წ. დაბადებულების მოსვლის თანავე ჩვენს რიგებში, მოხდა წერა-კითხვის უცოდინარ და მცირე მცოდნეთა აღრიცხვა. დაყოფილი იქნენ ჯგუფებად და დაიწყო მათთან მეცადინეობა. სულ იყო ლეგიონში 107 წერა-კითხვის უცდინარი და 70 კი მცირე მცოდნე.

წერა კითხვის უცოდინარეებთან ყოველ დღე ორ-ორი საათი წარმოებდა მუშაობა სისტემატიურად, მცირე მცოდნეებთან კი თითო საათი. ჯგუფების ხელმძღვანელებად ითვლებოდნენ კარგად მცოდნე და მომზადებული წითელ არმიელები, რომლებთანაც ლეგიონის უფროსი მასწავლებელი ატარებდა მეთოდიურ თათბირებს და ამნაირად უადვილებდა მათ წითელ არმიელებთან მეცადინეობას.

ამ ხნის განმავლობაში მუშაობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. უცოდინარეების მთელი 100 პროც. მომზადებულია გამოსაშვებათ.

დღეს მოხდება მათი გამოშვება. ვინც თავი ისახელა და კარგად დაამთავრა ლიკსკოლა მიიღებენ საჩუქრებს.

ამნაირად ენერგიული მუშაობით ჩვენ შევსძელით მთლიანად მოგვეხდინა ნაწილში უცოდინარეობის ლიკვიდაცია. დღეს თითეულ მოლაშქრეს შეეძლება თითონვე წაიკითხოს წითელი ფიცის ტექსტი.

პირველ მაისის დღესასწაულს ამ მხრივ აუცილებლად გამარჯვებული ხვდება ჩვენი ლეგიონი.

სამხკორი დ. ლომაძე.

## მშრომელთა დღესასწაული

დღეს მაისია პროლეტარული,
მაისი ჩვენი დღესასწაული;
მშრომელთ რიგები ალისფრად
ღელავს,
მტრებს კი ბნელებს გლოვის
„ტრაური“.
დღე, გაისმას მთელ მსოფლიოში
შეერთებული ბრძოლის ყიჟინა,
ვერ შეაშინებს მშრომელთ
მძარცველნი
უშიშრათ წავლენ ბრძოლით
წინ-წინა.
უძლეველია წითელი ჯარის
ოფლით ნაბანი რკინის მკერდები,
ველარ გაუძლებს ბოროტი
მტერი,
ძირს დაეცემა ძველი კერპები.
უკვე ირყევა ცეცხლის გუგუნით
კაპიტალისტურ ქვეყნის კარები
და იქაც მალე წითელ ჰანგებზე
დასჭექენ მედგრად ბრძოლის
ზარები.

სამხკორი ნ. გიორგობიანი.

## როგორ ვხვდებით 1-ლ მაისის დღესასწაულს

1-ლი დივიზიის არტლეგიონი

დღესასწაულების შესახვედრად დიდი სამზადისი სწარმოებდა ლეგიონში კარგა ხანია. განსაკუთრებით ენერგიულად მუშაობდა ახკომკავშირის ჯგუფი. ორგანიზატორმა ჯგუფის წევრებიდან გამოყო უფრო აქტიური ამხანაგები და მისცა მათ სათანადო დავალებები.

მუშაობის ცენტრი გადატანილი იყო ლენინის კუთხეში, სადაც უპარტიო წითელ არმიელებთან ერთად ახკომკავშირის წევრებიც ამზადებდენ სხვა და სხვა ბირთვებს დღესასწაულების შესახვედრად.

ლენინის კუთხეები დაარსებულია ლეგიონის ყველა შემადგენელ ნაწილებში. თითეულ კუთხეში ჩამოყალიბებულია სხვა და სხვა ბირთვები. ყველაში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა.

საუბრის ჩამატარებელი ბირთვები—აწარმოებდენ საუბრებს ლენინის კუთხეებში წინასწარ გათვალისწინებული გეგმის მიხედვით.

მკითხველთა ბირთვი იკრებდა თავის გარშემო წითელ არმიელებს და აწარმოებდენ სხვა და სხვა მოგონებების კითხვას 1-ლი მაისის დღესასწაულის შესახებ. სამხკორთა ბირთვი მუშაობდა კედლის გაზეთის გამოშვებისათვის და მჭიდრო კავშირს იკავებდენ სამოქალაქო ორგანიზაციების კედლის გაზეთებთან.

სამხატვრო ბირთვმა დაამზადა სადღესასწაულო ლოზუნგები და პლაკატები.

დღესასწაულს სრულიად მომზადებული და გამშვენიერებული ყაზარმებით შევხვდით.

სამხკორი ტ. მამალაძე.

## ღირსეულად ვხვდებით 1-ლ მაისს

1 ლი ცალკე მესანგრე ასეული.

ასეულის შემადგენლობა შეუდგა 1-ლ მაისის დღესასწაულის ზეიმით ჩატარებისათვის სამზადისს. ყველა წრეები ამოქმედდენ და შეუდგენ პრაქტიკულ მეცადინეობას. ასეულის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიამ დაიწყო მუშაობა სადღესასწაულო კედლის გაზეთის გამოშვებისთვის. საშეფო სოფელ ორპირში გავგზავნეთ წითელ არმიელი ლენინის კუთხის მოსართავად, რომელსაც თან გავატანეთ კედლის გაზეთისთვის დახატული სათაური და მასთან სხვა და სხვა პლაკატები 1-ლი მაისისთვის სათანადო საზეიმო წარწერებით. ასეთი მზადება საშუალებას მოგვცემს ღირსეულად და ზეიმით შევხვდეთ მსოფლიო მშრომელი ხალხის საზეიმო დღეს—1—მაისს.

სამხკორი შარვაშიძე.

## მშრომელთა დღე

დღეს პირველი მაისია, მშრომელთათვის გასახარი
და მშრომელიც მას ზეიმობს, მას შეჰხარის მთა და ბარი.
არ არსებობს ჩვენში ჩაგვრა, დღეს ბატონი აღარ არი,
დღევანდელ დღეს დაირეკა ბატონთათვის გლოვის ზარი.

— —

აქ ქუჩაში მუშა ხელში წითელ დროშას აფრიალებს
და თავის ბედს თვითონვე სჭედს, როგორც თვით ჰსურს
ატრიალებს.
ცეცხლის ფერით შემოსილი დროშა ცაში დაფრიალებს,
„გაუმარჯოს“—მძლავრი ხმები მთელ მსოფლიოს აგრიალებს

— —

იქ გუშაგი თოფით ხელში კვლავ დარაჯობს შრომის
კერას,
ის არასდროს შეაჩერებს მის სურვილს და გულის ძგერას,
ვინც ისურვებს მის დაჩაგვრას ვაი იმის ბედის წერას,
ბრძოლის ცეცხლში გამოწვრთნილებს ვერ დააკლებს იგი
ვერას.

— —

გაუმარჯოს პირველ მაისს, გაუმარჯოს მშრომელ
გმირებს,
ვინც პირველათ ხელთ აიღეს ჩვენი ბედი და შეჰკივლეს:
ძირს მონობა, ოქროს ტახტი, გაუმარჯოს შრომის შვილებს!
—გაუმარჯოს ჩვენს ბელადებს მშრომელთ მხნელად მოვლენილებს!

მ. სევ—ლი.

## ბიბ-მუშაობა მე-6 ლეგიონში.

ლეგიონში თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბიბლიოთეკო მუშაობას.

ყველა ასეულებსა და გუნდებში იქნა მოწყობილი ლენ-კუთხეები შესაფერ ლოზუნგებით და პლაკატებით.

გამოყოფილ იქნა აქტივი—ასეულის ბიბლიოთეკრები და ჩაებენ სკოლის გარეშე მუშაობაში. ყველა ასეულებში იყო მოწყობილი მოძრავი ბიბლიოთეკები, რომლითა საშუალებით მკითხველთა რიცხვი თანდათან მატულობდა; ამჟამად მკითხველთა რიცხვი ლეგიონში აღწევს 90 პრო.-მდე წითელ არმიელებიდან და უფპოლიტ შემადგენლობიდან—100 პროც.

ასეულის ბიბლიოთეკრებთან სისტემატიურად აწარმოებს მეთოდიურ მეცადინეობას ლეგბიბკამგე; მეცადინეობას აღებული აქვს კურსი მომავალ ცვალებადთა შეხვედრისათვის და მათთან საბიბლიოთეკო მუშაობის წარმოების შესახებ. აღსანიშნავია ასეულების ბიბლიოთეკრების ენერგიული და დაუზარელი მუშაობა. ისინი ყოველ საღამოს ატარებენ ხმამაღალ კითხვას, საუბრებს, ეწყობა ასეულებში კითხვა პასუხის საღამოები, სწარმოებს აგრეთვე საცნობო მუშაობა და სხვა.

ყოველ სამშაბათობით იწვევა ლეგ-ბიბლიოთეკაში ბიბ-საბჭოს სხდომა, სადაც ყოველ კვირეულ მუშაობას უკეთდება ჯამი და ეძლევათ დირექტივები შემდეგი მუშაობისათვის.

სამხკორი ვლ. ჭიჭინაძე.

## როგორ წარმოიშვა აღდგომის დღესასწაული.

**უძველეს დროში**

თუ როდის წარმოიშვა ადამიანი, ამაზე ისტორია არაფერს ამბობს. მაგრამ დაკვირვება, კვლევა და შედარება გვაძლევს საშუალებას ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იქნებოდა ადამიანი, მისი გონებრივი ავლა-დიდება და ცხოვრება განვითარების პირველ საფეხურზე.

ადამიანი განვითარების პირველ საფეხურზე, ე. ი. პირველყოფილი ადამიანი თავისი გონებითა და „აზროვნებით“ დიდად არაფრით განირჩეოდა ცხოველებისაგან. ამას ამტკიცებს დაკვირვება იმ ადამიანებზე, რომლებიც დღესაც ცხოვრობენ აფრიკისა და სხვა მივარდნილ კუნძულებზე. ესენი დღესაც ნახევრად ველურ მდგომარეობაში არიან და ისინი სარწმუნოებითაც დიდად განსხვავდებიან სხვა განათლებულ ქვეყნების ხალხისაგან.

**როგორი იყო პირველყოფილი ადამიანის რწმენა.**

ცხადია, პირველყოფილ ადამიანს არ ექნებოდა გარკვეული წარმოდგენა ამა თუ იმ მოვლენაზე; არ ექნებოდა მაშასადამე გარკვეული და განსაზღვრული რწმენაც. მისი რწმენა ცვლილებას განიცდიდა იმის და მიხედვით, თუ რამდენადაც იცვლებოდა მისი ცხოვრების პირობები. ის თანდათან ეცნობოდა სხვა და სხვა ადგილებს, ბუნების ახალ-ახალ მოვლენებს და გამოცდილებას იძენდა. მას აშინებდა ბუნების ზოგიერთი მოვლენა, ზოგიერთი კი სიამოვნებას ანიჭებდა. მაშინ ადამიანს წარმოდგენაც არ ჰქონია იმ ღმერთზე, როგორიც თანამედროვე მორწმუნეს სწამს. მას ბევრი ღმერთები ე. ი. რაღაც გაუგებარი, გარეშე ძალები ჰყავდა წარმოდგენილი. მისი წარმოდგენით ეს ღმერთები იმდენივე იყო, რამდენ ბუნების რთულ მოვლენასაც ის იცნობდა. ეს ძალები სწამდა მას კეთილ და ბოროტ ძალებად (ღმერთებად), როგორც თანამედროვე მორწმუნეს სწამს კეთილ ძალად ღმერთი და ბოროტ ძალად—ეშმაკი. ბოროტ ღმერთად მას სწამდა ისეთი მოვლენა, რომელიც მას აწუხებდა, უსიამოვნებას აყენებდა და აშინებდა. ასეთები იყვენ ჭექა-ქუხილი, წვიმა, სეტყვა და სხვა. კეთილ ღმერთებად მას სწამდა ისეთი მოვლენები, რომლებიც მას სიამოვნებას ჰგვრიდა, რომელსაც ის გაჭირვების დროს თავს შეაფარებდა. ასეთი იყო მზე, რომელიც ადამიანს ათბობდა, უზარმაზარი ხე, რომელსაც ის ჭექა-ქუხილის დროს თავს შეაფარებდა, ან მხეცის დადევნების დროს ზედ აცოცდებოდა და სიკვდილს გადარჩებოდა.

**როგორ წარმოიშვა აღდგომა.**

ამრიგად, პირველყოფილი ადამიანის სარწმუნოება ბუნების მოვლენებთან იყო დაკავშირებული. რამდენ ახალ მოვლენასაც გაიცნობდა ის, იმდენი ახალი ღმერთი გაუჩნდებოდა. მაგრამ განვითარების საფეხურებზე ადამიანმა თანდათან დაივიწყა ძველი ღმერთები.

ეხლა ვიკითხოთ, როგორ წარმოიშვა აღდგომის დღესასწაული, რომელიც დღესაც სწამთ მორწმუნეებს? ეს არის წარმართული დროის დღესასწაული, მაგრამ მას წინად სხვა სახე ჰქონდა.

**სიზმარი და სინამდვილე.**

აღდგომის დღესასწაულის, როგორც სხვა ცრუმორწმუნეობის წარმოშობას, ხელი შეუწყო ადამიანის გონებრივ სიბნელემ. ადამიანს არ ესმოდა სიკვდილ-სიცოცხლის რაობა. ადამიანს გული წაუვიდოდა და რამოდენიმე ხანში ისევ დაუბრუნდებოდა გონება და მოძრაობაც. ამ მოვლენამ ხელი შეუწყო იმ რწმენას, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგ აღსდგებაო. ეს რწმენა უფრო გააღრმავა სიზმარმა. ადამიანი ხედავდა სიზმარში გარდაცვალებულ ახლობელს და ფიქრობდა, ალბად, გაცოცხლებულა, აღსდგარაო.

ადამიანმა გარდა ცვალებულის გაცოცხლების რწმენა თანდათან გადაიტანა ღმერთებზეც. მას სწამდა, რომ ღმერთებიც კვდებიან და კვლავ ცოცხლდებიანო. ხოლო ასეთ რწმენას, დროთა ვითარებაში თანდათან დაეკარგა პირველყოფილი მნიშვნელობა.

**აღდგომის დღესასწაული წარმართულ ცრუმორწმუნეობის ნაშთია.**

აღდგომას დღესასწაულობენ სხვა და სხვა ერები, მაგრამ სხვა და სხვა დროს. პირველად ქრისტიანები დღესასწაულობდენ აღდგომას ებრაელების აღდგომის დღეს, ე. ი. მარტის ბოლო რიცხვებში. ეს აიხსნება იმით, რომ როცა წარმართები მასიურად ღებულობდენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, მათ თან გადმოიტანეს თავიანთი ჩვეულება, ადათი და სარწმუნოების მრავალგვარი სახე ქრისტიანულ სარწმუნოებაში. მაგრამ, როცა ქრისტიანული სარწმუნოება გაიზარდა, გაიზარდა მათ შორის სიძულვილიც წარმართულ სარწმუნოების მიმართ და აღდგომის დღესასწაული ცალკე რიცხვში გადაიტანეს. აღდგომის დღეს ებრაელები დღესასწაულობენ ქრისტიანებზე უფრო ადრე. მაგრამ ისინი დღესასწაულობენ ეგვიპტის ტყვეობიდან გათავისუფლების მოსაგონარად.

ამრიგად თანდათან აერიათ სხვადასხვა სარწმუნოების ხალხს წარმართული დღესასწაული და ყოველ სხვა და სხვა მორწმუნეებს სწამდათ ის თავიანთ ღმერთების აღდგომად. ძველად სპარსელებს ყავდათ ღმერთი მიტრა, ეგვიპტელებს—ოზირისი და სხვა და სხვა. ყველა ეს ღმერთები წარმართების აზრით, მოკვდარან და შემდეგ ისევ გაცოცხლებულან, აღმდგარან. („აღდგომა“).

**სარწმუნოება ჩაგვრის იარაღია.**

მაშასადამე, ქრისტიანული აღდგომა წარმომდგარია წარმართულ ცრუმორწმუნეობისაგან. მაგრამ რატომაა, რომ ქრისტიანი მორწმუნეები დღესაც ვერ სტოვებენ აღდგომის დღესასწაულს? ეს იმიტომ რომ გაბატონებული კლასი სარგებლობდა სარწმუნოებით და სამღვდელოების საშუალებით ბურუსს უკმევდა ხალხს, რომ ის მუდამ მონობა-მორჩილებაში ჰყოლოდა.

მაგრამ ეს ბურუსიც თანდათან იფანტება. და თუ დღეს ჩაგრული კლასის ერთმა ნაწილმა დააღწია თავი ამ ბურუსს, ხვალ მთელი ხალხები გათავისუფლდებიან მისგან და მონობისა და ჩაგვრის აღდგომის მაგივრად იდღესასწაულებენ მონის, ჩაგრულის, ადამიანის ღირსების, მონებისა და თავისუფლების აღდგომას.

ი. ხ—ე.

# ფელეტონები

(სამხკორთა წერილებიდან)

**სამაგალითო წითელ არმიელი**

— ვაი . . ი . ი, დედა! მიშველეთ, ხალხო, ვკვდები—გულშემზარავი ხმით გაჰკივის მე-2 ცალკე მესანგრე ასეულის წითელ არმიელი მურმანიშვილი და თან გველივით იკლაკნება (ვითომ რა არის მუცელი მტკივა საშინლადაო).

— მურმანიშვილო, შენი ჯერია განწესებაში გასვლის, აბა, მოემზადე.

— ვაიმე, დედა, ვკვდები!—უფრო უმატებს ყვირილს და კლაკვნას მურმანიშვილი—და რა . . . დროს . . განწესება . . ა . ა, ვერა . . . ხე-დავ ვკვდები-ი.

რას იზამ, ხომ ვერ გაიყვან განწესებაში მომაკვდავ მურმანიშვილს და ანებებენ თავს.

აი, ეხლა უნდა ნახოთ მურმანიშვილი; წამოხტება, ვითომ არაფერიაო და შურდულივით დაეშვება ეზოსკენ. ისე დარბის, რომ გეგონება ბოსლიდან ახლად გამოშვებული ხბოაო.

— აბა ვის უნდა შვებულებაში წასვლა—აცხადებს ზემდეგი.

უეჭველია, მურმანიშვილი პირველ ჯერში სდგას.

მაგრამ, როცა გაისმის ზარის ხმა, მაჩვენებელი მეცადინეობის დასაწყისისა, მურმანიშვილი მაინვე იწყებს:

— ვაიმე, ხალხო გვერდები, მიშველეთ. ძაან ბიჭია მურმანიშვილი.

ელეაზარი.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

## იმედებს ვამართლებთ

**1-ლი ცალკე მესანგრე ასეული**

25 აპრილიდან ჩვენი ნაწილი შეუდგა წითელ არმიელთა გავლილი პოლიტ—და სამხედრო ცოდნის შემოწმებას. საგამოცდო კომისიაში შედიან ამავე ასეულის პოლიტხელი, მწყობრის თავი, თვით წითელ არმიელთაგან ერთი, და უჯრედზე მომაგრებული საოლქო სასამართლოს უჯრედის წევრი. აღსანიშნავია ის გარემოება თუ როგორ შეუსისხლხორცებიათ და შეუთვისებიათ წითელ ლაშქრელებს პოლიტიკური ცოდნა. გაბედულად და დაუბნევლად შედიან რიგ—რიგობით კომისიაში და ყველა მიცემულ კითხვებზე დაკვირვებით დამაკმაყოფილებლად აძლევენ პასუხს. წითელ ლაშქრელების 80 პროც. ღირსეულად აბარებს თავის ცოდნას კომისიას.

ამან კიდევ გამოაშკარავა ჩვენი გამარჯვება და მიღწევები. ჩვენი მორიგი ამოცანა არის ამ ჟამად მთელი ასი პროცენტით შევსძლოთ მომავალში ამ საქმის შესრულება.

სამხკორი შ—ძე.

## როგორ ვმეცადინეობთ პოლიტსაათებში

**6-ე ლეგიონის 1-ლი შეერთებული ტყვიამფრქვევი ასეული**

ათასეულის ტყვიამფრქვევ ასეულში გამუდმებულად სწარმოებს პოლიტსაათები.

პოლიტხელი გვავალებს მჭიდრო კავშირი დავიჭიროთ ჩვენი ოჯახების საშუალებით სოფლებთან და ვიყვეთ მათი მდგომარეობის კურსში; მეცადინეობის ასეთი წესი დიდ ინტერესს იწვევს წითელ არმიელებში, რადგან დაწვრილებით გვაცნობენ საქართველოს მრავალი სოფლების ეკონომიურ, სამეურნეო და სხვა მდგომარეობას. ამასთანავე ვეცნობით დაწვრილებით, თუ რანაირი დამოკიდებულება აქვთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს საბჭოთა ხელისუფლებასთან. წითელ არმიელები დიდ მადლობას უცხადებენ პოლიტხელს ასეთი ენერგიული მუშაობისთვის, რომელიც თანდათან აძლიერებს წითელ არმიელთა მომზადებას.

წ. არმ. ი—ო.

## ვსწავლობთ ქიმიურ თავდაცვის საქმეს

**ცხენ. ლეგიონი**

27 აპრილს ლეგიონის მთელი შემადგენლობა ცხენებით გაემართა საბურთალოსაკენ, სადაც უნდა გამოგვეცადა ქიმიური გაზების საწინააღმდეგო ნიღაბები.

ბევრი ამხანაგები გულისძგერით ელოდენ გამოცდას—ცოტა კიდევაც ეშინოდათ, მაგრამ ეს შიში სრულიად გაუქარწყლდათ, როდესაც აირებში თავზე ნიღაბ ჩამოცმული თავისუფლად ვგრძნობდით თავს. გამოცდა თითქმის ყველამ გაიარა და მეტად კმაყოფილიც დარჩენ. მეცადინეობის შემდეგ კვლავ მწყობრად გამოვეშურეთ ნაწილისაკენ.

კარგი იქნება ხშირად გამოგვაცდევინებდენ სხვა და სხვა ქიმიურ აირებს, რომ საჭიროების დროს არ დავიბნეთ და ყველას თვ სებები ვიცოდეთ.

სამხკორი პ. კახიძე.

## ჩვენი საკლუბო მუშაობა

**1-ლი ლეგიონი**

ლეგიონის საკლუბო მუშაობაში მიზიდულია უფ-პოლიტ და წითელ არმიელთა შემადგენლობის დიდი ნაწილი, რომლებიც დიდ აქტივობას იჩენენ. გამგეობა კარგ ხელმძღვანელობას უწევს ამ მუშაობას. ხშირად იმართება გამგეობის სხდომები, მუშავდება თვიური გეგმები, კლუბის ინიციატორობით ხშირად ხდება სკოლის გარეშე მუშაკთა თათბირები.

კლუბის გამგეობა სისტემატიურად უდგენს თავის მუშაობის ანგარიშს ლეგიონის ბიურო კოლექტივს, რომელიც თავის მხრივ აძლევს გამგეობას სხვა და სხვა მითითებებს.

კლუბს კავშირი აქვს სხვა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებთან, სოფლებთან და სამხედრო ნაწილებთან. გამგეობის წევრებს შორის კარგად არის მოვალეობანი განაწილებული, რის გამო ყველაფერი თავის დროზე კეთდება.

მოგვარებულია კლუბის ტეხნიკური მხარეებიც. მუშაობის დროს ამ მხრივ ადგილი არა აქვს არავითარ დაბრკოლებებს. კლუბთანვე არსებობს სარედაქციო კოლეგია, რომელიც სისტემატიურად უშვებს გაზეთებს და აძლევს რჩევებს ასეულის რედკოლეგიებს მუშაობის წესიერად წარმოების შესახებ.

სამხკორი ს. იმნაიშვილი.

## პოლიტსაათი ჩვენს ათასეულში

**მე-6 ლეგ. 1-ლი ათასეული**

ლეგიონში თავიდანვე დიდი ყურადღება მიექცა სასკოლო მუშაობის თავის დონეზე დაყენებას. ახლად მოსული წითელ არმიელები დატოვებული იქნენ ტფილისში და დაიწყო მათთან მუშაობა.

პოლიტმეცადინეობისათვის ეს ამხანაგები დაყოფილ იქნენ 3 ჯგუფათ, რომლებთანაც დაწყებულ იქნა მეცადინეობა ორ წლიან პროგრამით. პირველ ხანებში ვერ იჩენდენ მეცადინეობაში აქტიობას, მაგრამ შემდეგ თანდათანობით გამოცოცხლდენ.

ვინაიდან უკანასკნელ ხანებში უფპოლიტშემადგენლობის შორის დაიწყო სემინარები, ამისთვის 3-ჯგუფი დროებით გაერთიანებულ იქნა 1 ჯგუფში. დასწრება სისტემატიურია. ჯგუფში ითვლება 99 წითელ არმიელი.

საგანს კარგად ითვისებენ კომპლექსიური მეთოდით მეცადინეობის გამო, რომელიც დიდათ აადვილებს წ. არმიელთა პოლიტაღზრდის საქმეს. ამ უკანასკნელ ხანებში შესწავლილია შემდეგი სახელმწიფოები: საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკა, გერმანია და პოლონეთი. განზრახულია ამ მოკლე ხანის განმავლობაში—ე. ი. ტერშეკრებამდე ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოების შესწავლა.

სამხკორი დ—ძე.

## სამხედრო ქრონიკა

**ახალი სამოსწავლო გეგმა პოლიტსკოლებისათვის**

მუშავდება ახალი სამოსწავლო გეგმები და პროგრამა სამხედრო პოლიტიკური სკოლებისათვის. გეგმაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სკოლების გასამხედროების საკითხს. ახალი პროგრამების დაგზავნა ადგილებზე განზრახულია 1-ლი ივნისისათვის.

პროგრამები დამუშავებული იქნებიან მეთოდიურათ, ერთიანი მეთოდიური წესის შემოღების მიზნით სწავლებაში.

**ცხენების კმაყოფა**

მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო სამეურნეო სამმართველოს განკარგულების თანახმად, „მსუბუქ არტილერიის ტიპის“ ცხენები უნდა იკვებებოდენ საბარგულე ცხენების კვების შესახებ რესპუბლიკის რევსამხსაბჭოს მიერ 1925 წ. გამოცემული № 163 ბრძანებით საერთო საფურაჟო ნორმის თანახმად.

## თანამედროვე ტეხნიკა

**დამაბრმავებელი სხივები**

მაღალი დაჭიმვის ელექტრო დენზე მომუშავე პირები ხშირად ხდებიან ავად მხედველობის დაბლით—ბრმავდებიან.

მხედველობისათვის მავნებელია სამ გვარი სხივები: წითელი (სითბოს გამომშვები), ყვითელი და უმთავრესად კი ეგრედ წოდებული ულტრაიისფერი სხივები (უჩინარი სხივები).

ყველა ამ სხივებს ადვილად ყლაპავს თვალის გუგა.

თუ ვიმოქმედებთ ძლიერი ელექტრო დენით ზოგიერთ ლითონებზე, (რკინა, ვერცხლის წყალი და სხვა) მათი გახურების დროს ჩნდება სხვა და სხვა სხივები, უმთავრესად ულტრაიისფერი.

ამ გარემოებამ დაბადა აზრი, რომ გამოიყენონ ულტრაიისფერი სხივები საომარ პირობებისთვის—სამხედრო მიზნით. ჩვეულებრივ პროექტორებში, რომლებიც მუშაობენ ვოლტის რკალით—შეყავთ ვერცხლის წყალის და სხვა ლითონების ამორთქლი მარილები.

ამნაირად პოზიციებზე მოქმედი პროექტორის საშვალებით მოწინააღმდეგისაკენ უშვერენ დამაბრმავებელ ულტრაიისფერ სხივებს.

ეს სხივები არიან უმთავრესად თავდაცვითი საშვალების ერთი ხერხთაგანი.

დამაბრმავებელ სხივების გამშვები პროექტორი თავსდება მბრუნავ ჯავშნიან კოშკში, რომელსაც სდგამენ მოწინავე ხაზებზე.

პროჟექტორის წინა შუშა იფარება ჯავშნით, რომელშიდაც დატოვებულია სხივების გასასვლელად ორი ნახვრეტი: ერთი ადამიანის სიმაღლეზე და მეორე კი—ძირს დაწოლილი კაცის სიმაღლეზე,

სხივები იხმარება მოწინააღმდეგის იერიშების მოსაგერიებლად, მოქმედობს 600 მეტრის მანძილიდან. დიდი სარგებლობა მოაქვს მას აგრეთვე შეტევაზე გადასვლის დროს, რომელსაც წინასწარ მიაქცევენ მტრის წინააღმდეგ.

გამონახული იქნა ამის საწინააღმდეგო საშვალებაც: თვალებზე იფარებენ წითელი მინისაგან დამზადებულ სათვალეებს, რომელიც არ უშვებს ულტრა-იისფერ სხივებს თვალში.

## ამბები სოფლებიდან.

**საქონლის ჭირი.** სოფ. ჭოპორტში (დუშ. მ.) გამოჩნდა საქონლის ჭირი.

**კლუბი ყვარელში.** ყვარელის თემაღმასკომი შეუდგა საზაფხულო კლუბის აგებას.

**ფოთის** აღმასკომმა ააგო ფოთში ყინულის ქარხანა.

**გორის** აღმასკომმა დაადგინა საკონსერვო ქარხნისათვის შეიძინოს ახალი მანქანები.

**ახალქალაქის** მაზრაში სხვა და სხვა თემებში ეწყობა იურიდიული დახმარების ბიუროები.

**დახმარება.** ახალციხის აღმასკომმა იანვარ—თებერვალ-მარტის განმავლობაში დაურიგა ღარიბებს დახმარებათ 1815 მანეთი, სენაკის აღმასკომმა-3512 მან. და ორგეთისამ-1943 მანეთი.

## პასუხი სამხკორებს

ოთარიშვილს. თქვენი წერილი სოფლის მდგომარეობის შესახებ გადაეგზავნა გაზ. „ახალ სოფლის“ რედაქციას.

ი. პატაშურს (2 ლეგ.) წერილი მინდვრად გასვლის შესახებ არაფერს ამბობს არსებითად. მოიწერეთ ვრცლად და საყურადღებო მომენტების შესახებ თქვენი ცხოვრებიდან.

პ. კახიძეს—ლექსი—პირველი მაისი არ გამოდგა. არ დაიბეჭდება აგრეთვე კორესპონდენციები: „30 აპრილისათვის სამზადისის შესახებ დაგვიანებით მიღების გამო.

ახაიას (ცხენ. ლეგ.) „წერილი ხუთი წლის თავზე“ დაგვიანების გამო არ დაიბეჭდება.


გაავრცელე

ამხანაგო

წითელ არმიელო!

გახსოვდეს შენი მოვალეობა.

გმართებს არაჩვეულებრივი მზრუნველობა.

ყოველ დღე შეეკითხე შენს თავს—

რა გააკეთე მთელი დღის განმავლობაში,

რამდენი ხელისმომწერი უშოვე

„წითელ არმიელ“-ს

გამოაწერიეთ

**რა ღირს „წითელი არმიელი“!!**

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.